

ოსლოს რეკომენდაციები
ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ
უფლებებთან დაკავშირებით და
განმარტებითი ბარათი

თებერვალი, 1998 წელი

ამ ბუკლეტში მოცემული ინფორმაციის გავრცელება ნებადართულია; ზემოხსენებულ შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ წყარო ანუ ამ ბუკლეტის დასახელება. ბუკლეტის ორიგინალური გამოცემა ინგლისურ ენაზე მომზადდა ინტერ-ეთნიკურ ურთიერთობათა ფონდის მიერ, ISBN 90-7598904-0. ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

პროექტების განყოფილება

ეუთო-ს უმაღლესი კომისარიატი ეროვნულ იმცირესობათა დარგში
პრინცესეგრაფტ 22

2514 AP პააგა

ტელ: +31 (0) 70 312 5555

ფაქსი: +31 (0) 70 346 5213

ელ-ფოსტა: pu@hcnm.org

შესავალი

1992 წლის ივლისში პელსინქში მიღებული გადაწყვეტილებით ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის თანამდებობა დააწესა, როგორც “შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე კონფლიქტების თავიდან აცილების ინსტრუმენტი”. ასეთი მანდატის შექმნა, უპირველეს ყოვლისა, ყოფილ იუგოსლავიაში შექმნილმა ვითარებამ განაპირობა, რომელიც, როგორც ბევრი ვარაუდობდა, შეიძლებოდა ევროპაში საღმე სხვაგანაც გამეორებულიყო, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც დემოკრატიული წესწყობილებისკენ გარდამავალ ეტაპზე იმყოფებოდნენ. ეს კი ძირს გამოუთხოდა მშვიდობისა და კეთილდღეობის პერსპექტივებს, რომლებიც ევროპის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა 1990 წლის ნოემბერში „ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიაში“ დასახეს.

1993 წლის 1 იანვარს თავისი მოვალეობების შესრულებას შეუდგა ბატონი მაქს ვან დერ სტული, რომელიც ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა რიგით პირველი უმაღლესი კომისარი გახდა. დაუყრდნო რა უნიკალურ პირად გამოცდილებას, რომელიც მან წლების განმავლობაში შეიძინა, როგორც ნიდერლანდების პარლამენტის წევრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა, ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში, აგრეთვე მრავალი წლის მანძილზე ადამიანის უფლებათა აქტიურმა დამცველმა, ბატონმა ვან დერ სტულმა თავისი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, ევროპის ქვეყნების ცენტრალურ ხელისუფლებებსა და ეროვნულ უმცირესობებს შორის არსებულ მრავალრიცხოვან უთანხმოებებს მიაპყრო, რასაც, მისი აზრით, შეიძლებოდა დამაბულობის შემდგომი ესკადაცია მოჰყოლოდა. დახვეწილი დიპლომატიური მეთოდების გამოყენებით, ზედმეტი ხმაურის გარეშე, ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა შეძლო ჩაბმულიყო ისეთ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებში, როგორებიცაა ალბანეთი, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, რუმინეთი, სლოვაკეთი და უკრაინა. მან ყურადღება გაამახვილა კონფლიქტურ ვითარებებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ იმ ეროვნული/ეთნიკური ჯგუფების

ოსლოს რეკომენდაციები

წარმომადგენლები, რომლებიც ერთ სახელმწიფო ში რიცხობრივ უმრავლესობას, ხოლო მეორეში (წესისამებრ, მეზობელი სახელმწიფო) – რიცხობრივ უმცირესობას შეადგენენ. ამგვარად, ეს ჯგუფები ორივე სახელმწიფოს ხელისუფლებების ინტერესების ობიექტები არიან და აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის თუ არა, დაძაბულობის პოტენციურ წყაროდ მაინც იქცევიან ხოლმე. უნდა აღინიშნოს, რომ დაძაბულობის მსგავსმა კერებმა ბევრი რამ განსაზღვრეს ევროპის ისტორიაში.

ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული დაძაბულობისა და პრობლემების მიზეზთა გამორკვევისას, ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და თანამშრომლობის მოსურნე პირი. არ ფლობს რა საზედამხედველო მექანიზმებს, ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი ვითარების ანალიზისა და კონკრეტული რეკომენდაციების ძირითად საფუძვლად იყენებს იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც თითოეული სახელმწიფოს მიერაა გაზიარებული. ამასთან დაკავშირებით, უპრიანია გავიხსენოთ ვალდებულებები, რომლებიც ეუთოს ყველა მონაწილე სახელმწიფომ იკისრა, კერძოდ კი - „ადამიანური განზომილების შესახებ კონფერენციის კოპენჰაგენის 1990 წლის დოკუმენტის“ IV ნაწილში მოცემული ვალდებულებები ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ეუთოს წევრი ყველა სახელმწიფო, ადამიანის უფლებათა სფეროში და მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების საკითხში, იზიარებს გაეროს ეგიდით ნაკისრ ვალდებულებებს; ამასთანავე, ეუთოს წევრი ქვეყნების დიდი უმრავლესობა ეთანხმება ევროპის საბჭოს სტანდარტებს ამ სფეროში.

ხუთწლიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა გამოკვეთა გარკვეული საკითხები და თემები, რომლებიც მისი ყურადღების მთავარ საგნად იქცა იმ ქვეყნებში, სადაც მას საქმიანობა უწევს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ეროვნული უმცირესობების ენობრივი უფლებები, ანუ ენობრივ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლება გამოიყენონ საკუთარი ენა როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროებში. ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ საერთაშორისო აქტებში ეს უფლება სხვადასხვა კონტექსტში განიხილება. ერთის მხრივ, ენა ადამიანის პიროვნულ თვითმყოფადობასთან მჭიდროდ დაკავშირებული კერძო

ოსლოს რეკომენდაციები

საკითხია; მეორე მხრივ, ენა სოციალური ორგანიზაციის აუცილებელი ინსტრუმენტია, რომელიც ხშირ შემთხვევაში, საჯარო ინტერესის საგანი ხდება. მართლაც, ენით სარგებლობა მრავალი თვალსაზრისითაა დაკავშირებული სახელმწიფოს ფუნქციონირებასთან. ამგვარად, ადამიანის უფლებების დამცველ, დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებული ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება პოლიტიკისა და სამართლის უმნიშვნელოვანეს საკითხად გვევლინება. ამ სფეროში სათანადო ბალანსის მიუღწევლობა, შესაძლოა, ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაძაბულობის წყაროდ იქცეს.

სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით 1996 წლის ზაფხულში ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა სთხოვა „ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ფონდს“ საერთაშორისო აღიარების მქონე ექსპერტთა მცირე ჯგუფისთვის მიემართა, რათა მიეღო რეკომენდაციები ეუთოს რეგიონში მოსახლე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ პირთა ენობრივი უფლებების ჯეროვნად და თანამიმდევრულად უზრუნველსაყოფად. უფრო ადრე სწორედ ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ასეთივე თხოვნის შედეგად შემუშავდა დოკუმენტი სახელწოდებით „პააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი“.¹ რადგანაც „პააგის რეკომენდაციებში“ ფართო ადგილი დაეთმო განათლების სფეროში ეროვნული უმცირესობების ენით ან ენებით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, გადაწყდა, რომ ისინი ამოღებულიყო იმ საკითხთა ნუსხიდან, რომლებიც ექსპერტებს ამჯერად უნდა განეხილათ.

„ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ფონდმა“ – არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც 1993 წელს დაარსდა ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის დასახმარებლად სპეციალიზებული საქმიანობის განსახორციელებლად – საკონსულტაციო შეხვედრათა მთელი სერია გამართა, მათ შორის – ოსლოს ორი და პააგის ერთი შეხვედრა, რომლებშიც სხვადასხვა

¹ შენიშვნა: პააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი"-ს ასლები (ოქტომბერი 1996 წ.) სხვადასხვა ენაზე ხელმისაწვდომია ეროვნებათაშორისო ურთიერთობების ფონდში.

ოსლოს რეკომენდაციები

დისციპლინის ექსპერტებმა მიიღეს მონაწილეობა: სწავლულმა იურისტებმა, რომლებიც საერთაშორისო სამართალში არიან სპეციალიზებულნი, ასევე – ენათმეცნიერებმა, ადამიანის უფლებების დამცველებმა და პოლიტოლოგებმა, რომელთა სპეციალიზაციის სფეროს ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა და მათი საჭიროებები წარმოადგენს. ქსპერტთა შორის, სახელდობრ, იყვნენ:

პროფესორი გუდმუნდურ ალფრედსონი, რაულ ვალენბერგის სახელობის ინსტიტუტის თანადირექტორი (შვედეთი); პროფესორი ასპიორნ ეიდე, ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ნორვეგია); ქალბატონი ანგელიტა კამენსკა, ლატვიის ადამიანის უფლებათა და ეთნიკურ საკითხთა კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ლატვია); ბატონი დონალ ო'რიეგეინი, ნაკლებად გავრცელებული ენების ევროპული ბიუროს გენერალური მდივანი (ირლანდია); ქალბატონი ბეატე სლიდალი, აზრის გამოხატვის თავისუფლების ნორვეგიის ფორუმის მრჩეველი (ნორვეგია); დოქტორი მიკელ სტრუბელი, კატალონიის მთავრობასთან არსებული კატალონური სოციოლინგვისტიკის ინსტიტუტის დირექტორი (ესპანეთი); პროფესორი გიორგი შეპე, იანუშ პანონიუსის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ფაკულტეტი (უნგრეთი); პროფესორი პატრიკ თორნბერი, კილის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (დიდი ბრიტანეთი); დოქტორი ფერნან დე ვარენი, ადამიანის უფლებათა და ეთნიკური კონფლიქტების წინააღმდეგ ბრძოლის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ცენტრის დირექტორი (ავსტრალია); პროფესორი ბრუნო დე ვიტე, მაასტრიკტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (ნიდერლანდები); ბატონი ჟან-მარი ვიორლინგი, ელზას-მოზელანური ადგილობრივი სამართლის ინსტიტუტი (საფრანგეთი).

რამდენადაც ეროვნულ უმცირესობათა უფლებების სფეროში არსებული ნორმები ადამიანის უფლებათა ნაწილს წარმოადგენს, კონსულტაციების ამოსავალ წერტილად დაშვებულ იქნა პრეზუმცია, რომ სახელმწიფოები ასრულებენ ადამიანის უფლებათა სფეროში ნაკისრ ყველა სხვა ვალდებულებას, კერძოდ, ვალდებულებას უზრუნველყონ ადამიანთა თანასწორობა და თავისუფლება დისკრიმინაციისაგან, აზრის გამოხატვის

ოსლოს რეკომენდაციები

თავისუფლება, შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლება, აგრეთვე, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ყველა სხვა უფლება და თავისუფლება.

ასევე დაშვებულ იქნა მოსაზრება, რომ ადამიანის ყველა უფლების საბოლოო მიზანს თანასწორობის პირობებში პიროვნების სრული და დამოუკიდებელი განვითარება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მიჩნეულ იქნა, რომ სამოქალაქო საზოგადოება უნდა იყოს დია და მოქნილი, რათა გააერთიანოს ყველა ადამიანი, მათ შორის ისინიც, ვინც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნება. რამდენადაც ენა კომუნიკაციის ფუნდამენტური საშუალებაცაა, ასევე სრულად იქნა გათვალისწინებული კაცობრიობის გამოცდილების ძირითადი სოციალური განზომილების მნიშვნელობა.

ოსლოში მიღებული „რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით“ შედარებით მარტივი და გასაგები ენით განმარტავს ეროვნულ უმცირესობათა ენობრივი უფლებების შინაარსს, რომლებიც გამოიყენება ყველა იმ ვითარებაში, რომლებშიც ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი მონაწილეობს. გარდა ამისა, სტანდარტები იმგვარადაა ინტერპრეტირებული, რომ უზრუნველყოფილია სხვადასხვა ნორმის ურთიერთშეთანხმებული მოქმედების შესაძლებლობა. რეკომენდაციები დაყოფილია ქვეთავებად, რომელთაგან თითოეული ეხმიანება პრაქტიკაში წამოჭრილ ამა თუ იმ ენობრივ საკითხს. რეკომენდაციების უფრო დეტალური განმარტება მოცემულია თანდართულ განმარტებით ბარათში, სადაც მითითებულია შესაბამისი კონკრეტული საერთაშორისო ნორმები. ნავარაუდევია, რომ თითოეული რეკომენდაცია განმარტებითი ბარათის შესაბამის პუნქტებთან ერთად იქნება წაკითხული.

იმედია, ეს რეკომენდაციები მყარ საფუძველს შექმნის ისეთი სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებისათვის, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მიერ მათი ენობრივი უფლებების ეფექტიან განხორციელებას შეუწყობს ხელს, განსაკუთრებით – საჯარო სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ენით სარგებლობასთან დაკავშირებით

ოსლოს რეკომენდაციები

შეიქმნა, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საკუთრივ რეკომენდაციების, ისე იმ საერთაშორისო აქტების პრინციპები, რომლებიდანაც ეს რეკომენდაციები გამომდინარეობს, პოტენციურად სხვა სახის უმცირესობათა მიმართაც შეიძლება იქნეს გამოყენებული. წინამდებარე რეკომენდაციების დანიშნულებაა არსებული უფლებების შინაარსის დაზუსტება და განმარტება; მათ დანიშნულებას სრულებითაც არ წარმოადგენს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის უფლებების შეზღუდვა.

**ოსლოს რეკომენდაციები
ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან
დაკავშირებით**

გვარ-სახელები და სახელწოდებები

- 1) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ თავიანთი სახელებითა და გვარებით მშობლიურ ენაზე, საკუთარი ტრადიციებისა და ლინგვისტური სისტემების შესაბამისად. ეს გვარ-სახელები ოფიციალურად უნდა იქნენ აღიარებული და გამოყენებული ხელისუფლების ორგანოების მიერ.
- 2) ამგვარადვე, კერძო ორგანიზაციებს, როგორებიცაა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მიერ დაარსებული კულტურული ასოციაციები და საწარმოები, იგივე უფლება აქვთ მათ სახელწოდებებთან დაკავშირებით.
- 3) იმ ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და როცა შესაბამისი მოთხოვნა არსებობს, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რათა ადგილობრივი სახელები და სახელწოდებები, ქუჩების დასახელებები და საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა ტოპოგრაფიული ნიშნები ეროვნული უმცირესობის ენაზეც გამოიკრას.

რელიგია

- 4) საკუთარი რელიგიური მრწამსის აღსრულების პროცესში, განურჩევლად იმისა, ინდივიდუალურად ხდება ეს თუ სხვა პირებთან ერთობლიობაში, თითოეულ პირს უფლება აქვს ისარგებლოს ამა თუ იმ ენით ან ენებით საკუთარი არჩევანის შესაბამისად.

ოსლოს რეკომენდაციები

- 5) იმ რელიგიური რიტუალებისა თუ აქტებისათვის, რომლებიც, იმავდროულად, სამოქალაქო მნიშვნელობისაა და რომლებსაც მოცემულ სახელმწიფოში სამართლებრივი შედეგი გააჩნიათ, სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ ამგვარი სტატუსის მოწმობები და დოკუმენტები სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც გამოიცეს. სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ სამოქალაქო მნიშვნელობის ჩანაწერები რელიგიურმა დაწესებულებებმა სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც აწარმოონ.

საზოგადოებრივი ცხოვრება და არასამთავრობო ორგანიზაციები

- 6) ნებისმიერ პირს, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, უფლება აქვთ დააფუძნონ და მართონ საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციები, გაერთიანებები და დაწესებულებები. ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ ისარგებლონ იმ ენით (ენებით), რომელსაც თავად შეარჩევენ. სახელმწიფოს არა აქვს უფლება ენის საფუძველზე დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ამყოფოს ასეთი ორგანიზაციები ან არამართლზომიერად შეზღუდოს ამ ორგანიზაციების უფლება ეძიონ დაფინანსების წყაროები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საერთაშორისო წყაროებიდან ან კერძო სექტორიდან.
- 7) თუ სახელმწიფო, სხვებთან ერთად, სოციალურ, კულტურულ და სპორტის სფეროებსაც აქტიურად უჭერს მხარს, იგი ვალდებულია საერთო სახსრების სამართლიანი წილი ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ანალოგიური საქმიანობის დასაფინანსებლადაც გაიღოს. აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფოს მიერ ყველა იმ საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ენაზე ან ენებზე ხორციელდება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა განხორციელდეს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

- 8) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ დაარსონ და შეინახონ საკუთარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უმცირესობის ენაზე. მაუწყებლობის საშუალებების სახელმწიფო რეგულირება ობიექტურ, არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს და არ უნდა იქნეს გამოყენებული უმცირესობის უფლებების შეზღუდვის მიზნით.
- 9) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს ხელი უნდა მიუწყდებოდეთ სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მაუწყებლობის საშუალებების საეთერო დროით საკუთარ ენაზე სარგებლობაზე. როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე მოცემული ეროვნული უმცირესობის ენაზე მაუწყებლობის დროის ხანგრძლივობა და ხარისხი ამ ეროვნული უმცირესობის რაოდენობრივ და კონცენტრაციის მაჩვენებლებს, აგრეთვე, მის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებს უნდა შეესაბამებოდეს.
- 10) ეროვნული უმცირესობების ენაზე ან ენებზე სახელმწიფო ან კერძო ინფორმაციის საშუალებების პროგრამების დამოუკიდებელი ხასიათი დაცული უნდა იყოს. სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების სარედაქციო საბჭო, რომელსაც პროგრამების შინაარსსა და ორიენტაციაზე მეთვალყურეობა ევალება, უნდა იყოს დამოუკიდებელი. ამ საბჭოების შემადგენლობაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებიც უნდა შედიოდნენ, რომლებსაც დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.
- 11) დაუშვებელია ინფორმაციის საშუალებების საზღვარგარეთიდან შემოსვლის არამართლზომიერი შეზღუდვა. ამ გზით ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა არ უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ საინფორმაციო საშუალებებში ეროვნული უმცირესობისათვის გამოყოფილი საეთერო დროის შემცირების საბაბად იმ სახელმწიფოში, სადაც მოცემული ეროვნული უმცირესობა სახლობს.

ეკონომიკური ცხოვრება

- 12) ყველას, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, აქვთ უფლება მისდიონ კერძო მეწარმეობას იმ ენაზე ან ენებზე, რომლებსაც ისინი აირჩევენ. სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს ამ სახელმწიფოს ოფიციალური ენით ან ენებით დამატებით სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია იმის დემონსტრირება, რომ ამას მოითხოვს დასაბუთებული საზოგადოებრივი ინტერესები, მაგალითად მუშა-მოსამსახურეთა ან მომსმარებელთა დაცვასთან დაკავშირებული ინტერესები, ან ურთიერთობები საწარმოსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის.

ადმინისტრაციული ორგანოები და საზოგადოებრივი მომსახურება

- 13) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და სადაც ასეთი სურვილი გამოითქვა, პირებს, რომლებიც ამ ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებიან, უფლება აქვთ რეგიონული და/ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისაგან სამოქალაქო დოკუმენტები და მოწმობები მიიღონ როგორც სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზე, ისე ეროვნული უმცირესობის ენაზეც. ამგვარადვე, რეგიონული და/ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან აწარმოონ სამოქალაქო ჩანაწერები ეროვნული უმცირესობის ენაზეც.
- 14) ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ენით სარგებლობის ადგეკვატური შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც ასეთი სურვილი გამოითქვა და სადაც მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს. ამგვარადვე, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, როცა კი ეს შესაძლებელია, უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი მომსახურება ეროვნული უმცირესობის

ოსლოს რეკომენდაციები

ენაზეც. ამ მიზნით მათ უნდა განავითარონ კადრების შერჩევისა და მომზადება-გადამზადების შესაბამისი პოლიტიკა და პროგრამები.

- 15) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩეულ წევრებს, მათი სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში, ეროვნული უმცირესობის ენითაც შეეძლოთ სარგებლობა.

დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტები

- 16) სახელმწიფოებმა, რომლებშიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, უნდა უზრუნველყონ, რომ ამ პირებს, თუკი ისინი ჩათვლიან, რომ მათი ენობრივი უფლებები შელახულია, მართლმსაჯულების ორგანოებში მიმართვის გარდა, პქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ისეთი დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტების დახმარებითაც, როგორებიცაა ომბუდსმენის ინსტიტუტი ან ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიები.

მართლმსაჯულების ორგანოები

- 17) ყველას, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, უფლება აქვთ მათთვის გასაგებ ენაზე მიიღონ საონადო ინფორმაცია მათი დაპატიმრების და/ან დაკავების მიზეზების შესახებ, აგრეთვე მათთვის წარდგენილი ბრალდების არსისა და ხასიათის შესახებ და დაიცვან თავი ამ ენაზე, თუ საჭიროა – თარჯიმნის უფასო დახმარებით, სასამართლომდე, სასამართლო პროცესის მსვლელობისას და განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში.

ოსლოს რეკომენდაციები

- 18) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და სადაც ასეთი სურვილი გამოთქმულია, ამ ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირებს აქვთ სასამართლო პროცესზე საკუთარ ენაზე გამოსვლის უფლება, თუ საჭიროა – თარჯიმნის და/ან მთარგმნელის უფასო დახმარებით.
- 19) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და სადაც ასეთი სურვილი გამოთქმულია, სახელმწიფო ორგანიზაციის უნდა განიხილონ იმის შესაძლებლობა, რომ ყველა სასამართლო პროცესი, რომელიც ასეთ პირებს ეხება, ეროვნული უმცირესობის ენაზე ჩატარდეს.

თავისუფლების აღკვეთა

- 20) პენიტენციალური დაწესებულების ხელმძღვანელმა და თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ პატიმართა დიდი უმრავლესობის ენა ან ენები, ან ის ენა, რომელიც მათ დიდ უმრავლესობას ესმის. კადრების შერჩევისა და/ან მომზადება-გადამზადების პროგრამები ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. აუცილებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს თარჯიმნის მომსახურება.
- 21) დაკავებულ პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, უფლება აქვთ როგორც პატიმრებთან, ისე ნებისმიერ სხვა პირთან ურთიერთობაში იმ ენით ისარგებლონ, რომელსაც ისინი თავად აირჩევენ. სახელმწიფო ორგანოებმა, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა მიიღონ ზომები, რათა პატიმრებმა, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში, ზეპირი კომუნიკაციები თუ პირადი მიმოწერა საკუთარ ენაზე აწარმოონ. ამასთან დაკავშირებით, ნებისმიერი დაკავებული ან თავისუფლებააღკვეთილი პირი, როგორც წესი, უნდა განთავსდეს დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის იმ

ოსლოს რეკომენდაციები

ადგილში, რომელიც მისი საცხოვრებელ ადგილთან ახლოს
მდებარეობს.

ოსლოს რეკომენდაციები

განმარტებითი ბარათი
„ოსლოს რეკომენდაციებისათვის ეროვნულ
უმცირესობათა
ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით“

ზოგადი შესავალი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ მუხლში საუბარია ყველა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებაზე, როგორც ფუნდამენტურ იდეაზე, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებათა ყველა ნორმას. დეკლარაციის პირველი მუხლი აცხადებს: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და თანასწორია თავისი ღირსებით და უფლებებით...“ ამ მუხლის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. იგი არა მხოლოდ ზოგადად ადამიანის უფლებებს შეეხება, არამედ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ენობრივი უფლებების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. თანასწორობა ღირსებასა და უფლებებში ყოველი ცალკეული ადამიანის თვითმყოფადობის მიმართ პატივისცემას გულისხმობს. ენა ადამიანის თვითმყოფადობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. აქედან გამომდინარე, პიროვნების ღირსების მიმართ პატივისცემა მჟიდროდ არის დაკავშირებული პიროვნების თვითმყოფადობისა და, მაშასადამე, პიროვნების დედაქნის მიმართ პატივისცემასთან.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. აღნიშნული პაქტის მე-2 მუხლი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს უზრუნველყონ მათ ტერიტორიაზე მყოფი და მათ იურისდიქციას დაქვემდებარებული პირების უფლებების დაცვა და პატივისცემა „განურჩევლად რაიმე ნიშნისა, როგორებიცაა... ენა...“. პაქტის მე-19 მუხლი აზრის გამოხატვის თავისუფლებას განამტკიცებს; კერძოდ, როგორც პაქტშია ფორმულირებული, გარანტირებულია არა მხოლოდ ადამიანის უფლება გაავრცელოს ან მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია და იდეები სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად, არამედ გარანტირებულია უფლება, რომ ეს ყოველივე თავისუფლად შერჩეული საინფორმაციო საშუალების ან

ოსლოს რეკომენდაციები

ენის მეშვეობით გაკეთდეს. ინფორმაციის გავრცელება და მიღება იმასაც გულისხმობს, რომ ადამიანები ერთობლივად უნდა მოქმედებდნენ. ამ თვალსაზრისით, ალბათ, განსაკუთრებით საყურადღებოა პაქტის 21-ე და 22-ე მუხლები, რომლებიც მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებებს უზრუნველყოფენ.

ამგვარადვე, ევროპაშიც აღიარებულია, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება, რომელსაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი განამტკიცებს, ამავე კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად „უზრუნველყოფილ უნდა იქნეს რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა... ენა...“. პირდაპირ მიუთითებს რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე, ევროპის საბჭოს დეკლარაცია აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ადასტურებს, რომ „აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება აუცილებელია თითოეული ადამიანის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებისათვის და სოციალური და კულტურული ჯგუფების, ერებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის პარმონიული წინსვლის პირობას წარმოადგენს“. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი, რომელიც მშვიდობიანი შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლებებს უზრუნველყოფს.

რაც შეეხება ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო), აზრის გამოხატვის, შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლებათა ასეთივე ფუნდამენტური იდეები ადამიანური განზომილების შესახებ კოპენპაგენის შეხვედრის დოკუმენტის 9.1 - 9.3 პუნქტებშია ჩამოყალიბებული.

ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიაში ეუთოს წევრ სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურები „ადასტურებენ, რომ თითოეულ ინდივიდს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აქვს: ... აზრის გამოხატვის, გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლება...“

ოსლოს რეკომენდაციები

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი კიდევ ერთი ძირითადი დებულებაა, რომელიც უშუალოდ ეხება ეროვნული უმცირესობების ენობრივ უფლებებს. იგი ადასტურებს, რომ „პირებს, რომლებიც... უმცირესობებს მიეკუთვნებიან, არ შეიძლება ჩამოერთვათ უფლება მათი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთობლიობაში... ისარგებლონ საკუთარი ენიო“.

ამგვარადვე, გაეროს დეკლარაცია ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს მიეკუთვნებული პირების უფლებათა შესახებ, მე-2 მუხლის პირველ პუნქტში აცხადებს, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ „ისარგებლონ საკუთარი ენით, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისუფლად, გარედან ჩარევისა და რაიმე ფორმის დისკრიმინაციის გარეშე“. ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ მე-10 მუხლის პირველი პუნქტით სახელმწიფოებს ავალდებულებს აღიარონ ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებულ პირთა უფლება „თავისუფლად და გარედან ჩარევის გარეშე ისარგებლონ მათი უმცირესობის ენით, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ზეპირად, ისე წერილობით“.

მართალია, აღნიშნული აქტები მკაფიოდ მიუთითებენ, რომ ეროვნულ უმცირესობათა ენებით სარგებლობა შესაძლებელია როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეს აქტები ზუსტად არ განსაზღვრავენ, თუ სად გადის ზღვარი „საზოგადოებრივ“ და „კერძო“ სფეროებს შორის. მართლაც, შესაძლებელია, რომ ამ სფეროებმა ერთმანეთი გადაკვეთონ. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, როცა დამოუკიდებლად ან ჯგუფურად მოქმედი პირები საკუთარი კერძო საინფორმაციო საშუალებების ან სკოლების დაარსებას ცდილობენ. ამგვარად ის, რაც დასაწყისში კერძო ინიციატივას წარმოადგენდა, შესაძლოა სრულიად სამართლიანად საზოგადოების საჯარო ინტერესის საგანი გახდეს. ასეთმა ინტერესმა შესაძლოა რაიმე სახის საჯარო რეგულირებას დაუდოს სათავე.

ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებული პირების მიერ მათი ენებით „კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ სარგებლობის საკითხი შეუძლებელია განათლებისგან დამოუკიდებლად განიხილებოდეს. განათლების ის საკითხები, რომლებიც ეროვნული უმცირესობების ენებს ეხება, დეტალურად განიხილება დოკუმენტში სახელწოდებით

ოსლოს რეკომენდაციები

პააგის რეკომენდაციები ეროვნული უმცირესობების განათლების უფლებებთან დაკავშირებით. პააგის რეკომენდაციები ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის სასარგებლოდ „ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ფონდმა“ ადამიანის უფლებათა და განათლების სფეროებში საერთაშორისო აღიარების მქონე ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა. პააგის რეკომენდაციების შემუშავების მიზანია უფრო ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმის თაობაზე, თუ რას გულისხმობენ საერთაშორისო აქტები ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებებთან დაკავშირებით ამ სფეროში, რომელსაც ესოდენ სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

საერთაშორისო აქტები ადამიანის უფლებათა შესახებ აცხადებენ, რომ ადამიანის უფლებები საყოველთაო ხასიათისაა და ამ უფლებებით სარგებლობა უნდა ხდებოდეს თანაბრად და დისკრიმინაციის გარეშე. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა უმრავლესობა აბსოლუტურ უფლებას არ წარმოადგენს. აღნიშნული აქტები ითვალისწინებენ შეზღუდული რაოდენობის შემთხვევებს, როცა სახელმწიფოებს შეუძლიათ დაასაბუთონ გარკვეული უფლებებით სარგებლობაზე შეზღუდვების დაწესება. შეზღუდვები, რომლებსაც ადამიანის უფლებათა დარგში საერთაშორისო სამართალი დასაშვებად მიიჩნევს, შეიძლება დაწესდეს საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლეს, აგრეთვე ისეთი ვითარებისას, როცა საფრთხე ემუქრება სხვა ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებებს, საზოგადოების ზნეობრივ პრინციპებს, საზოგადოების ჯანმრთელობას, ეროვნულ უსაფრთხოებას და საყოველთაო კეთილდღეობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.² ამასთანავე, როცა საქმე ადამიანის უფლებებს ეხება, დაწესებული შეზღუდვების ინტერპრეტაცია შეზღუდულ ხასიათს უნდა ატარებდეს.

² ზემოაღნიშნული შეზღუდვები განსაზღვრულია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 30-ე მუხლში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში.

ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლება ისარგებლონ საკუთარი ენით ან ენებით კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ამას ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან ითვალისწინებს, ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მოთხოვნასთან გაწონასწორების კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. რეკომენდაციები იზოლაციონისტურ მიდგომას კი არ გვთავაზობს, არამედ გვიბიძგებს წონასწორობის პოვნისაკენ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებასა შეინარჩუნონ და განავითარონ თავისი თვითმყოფადობა, კულტურა და ენა და იმ აუცილებლობას შორის, რომ ამ პირებს შეეძლოთ უფრო ფართო საზოგადოებაში ინტეგრაცია, როგორც ამ უკანასკნელის სრულუფლებიან და თანასწორ წევრებს. ამ თვალსაზრისით, ასეთი ინტეგრაცია ნაკლებ სავარაუდოა სახელმწიფოს ოფიციალური ენის ან ენების კარგი ცოდნის გარეშე. ამგვარი განათლების მოთხოვნა არის ნაგულისხმები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 და მე-14 მუხლებში და ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლებში, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლების უფლებას და ავალდებულებენ სახელმწიფოებს განათლება სავალდებულო გახადონ. ამასთანავე, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტში განცხადებულია, რომ ეროვნული უმცირესობის ენის სწავლება „უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ამით ზიანი არ მიადგეს ოფიციალური ენის სწავლას ან ამ ენაზე სწავლებას“.

გვარ-სახელები და სახელწოდებები

- 1) ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში განცხადებულია, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ საკუთარ ენაზე ისარგებლონ თავისი სახელით, მამის სახელითა და გვარით. ეს უფლება, რომლით სარგებლობასაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს პიროვნების თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, თითოეულ სახელმწიფოში არსებული კონკრეტული ვითარების კონტექსტში უნდა იყოს რეალიზებული. მაგალითად,

ოსლოს რეკომენდაციები

ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ დაასაბუთონ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების სახელების, მათი ფონეტიკური ფორმის დაცვით, იმ ანბანის საშუალებით ჩაწერა, რომელსაც სახელმწიფოს ოფიციალური ენა ან ენები იყენებს. ამასთანავე, ეს მოცემული ეროვნული უმცირესობის ენობრივი სისტემისა და ტრადიციების შესაბამისად უნდა გაკეთდეს. ამ ძალზე მნიშვნელოვან უფლებასთან დაკავშირებით, რომელიც მჭიდრო კავშირშია ინდივიდის ენასთან და თვითმყოფადობასთან, ნებისმიერ პირს, რომელსაც ხელისუფლების ორგანოებმა იძულებით ათქმევინეს უარი მის თავდაპირველ ან წინაპართა სახელზე (ან სახელებზე), ან რომლის სახელი (ან სახელები) მისი სურვილის საწინააღმდეგოდ შეიცვალა, უფლება აქვს დაიბრუნოს იგი ყოველგვარი ხარჯის გარეშე.

- 2) სახელი და სახელწოდება ასევე ჯგუფური თვითმყოფადობის მნიშვნელოვან ელემენტსაც წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, რომლებიც „ერთობლივად“ მოქმედებენ. გაეროს დეკლარაციაში ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებათა შესახებ, კერძოდ მისი მე-2 მუხლის პირველ პუნქტში განცხადებულია, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ „ისარგებლონ საკუთარი ენით, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თავისუფლად, გარედან ჩარევისა და რაიმე ფორმის დისკრიმინაციის გარეშე“. ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ მე-10 მუხლის პირველ პუნქტში ავალებს სახელმწიფოებს აღიარონ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლება „თავისუფლად და გარედან ჩარევის გარეშე ისარგებლონ მათი უმცირესობის ენით, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ზეპირად, ისე წერილობით“. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 27-ე მუხლში აცხადებს, რომ „პირებს, რომლებიც... უმცირესობებს მიეკუთვნებიან, არ შეიძლება ჩამოერთვათ უფლება, მათი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთობლიობაში ისარგებლონ საკუთარი ენით“. პირის უფლება ისარგებლოს საკუთარი ენით, როგორც კერძო, ისე

ოსლოს რეკომენდაციები

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან ერთობლიობაში, გარედან ჩარევისა და რაიმე ფორმის დისკრიმინაციის გარეშე, გულისხმობს იმასაც, რომ იურიდიულ პირებს, როგორებიცაა დაწესებულებები, გაერთიანებები, ორგანიზაციები თუ საწარმოები, რომლებიც დაარსებული და მართულია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მიერ, უფლება აქვთ დაირქვან თავიანთივე შერჩეული ნებისმიერი სახელწოდება ამ უმცირესობის ენაზე. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა აღიარონ ასეთი კორპორატიული სახელწოდება და გამოიყენონ იგი ისე, როგორც ამას მოცემული უმცირესობის ენობრივი სისტემა და ტრადიციები მოითხოვს.

- 3) ჩარჩო კონვენციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტში ნათქვამია, რომ „ადგილებში, სადაც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ტრადიციულად მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, მხარეები იზრუნებენ, რათა... იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისი მოთხოვნა არსებობს, ტრადიციული ადგილობრივი სახელწოდებები, ქუჩების დასახელებები და საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა ტოპოგრაფიული ნიშნები ეროვნული უმცირესობის ენაზეც გამოიკრას“. ხელისუფლების ორგანოების უარი, აღიარონ ამ ტიპის ისტორიული სახელწოდებების ნამდვილობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ისტორიის რევიზიისა და უმცირესობების ასიმილაციის მცდელობა, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების თვითმყოფადობას.

რელიგია

- 4) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი ადასტურებს, რომ „იმ სახელმწიფოებში, სადაც არიან ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უცმირესობები, ამ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს არ უნდა ეთქვათ უარი უფლებაზე, მათი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთობლიობაში... იქონიონ საკუთარი რელიგიური მრწამსი, ან ისარგებლონ საკუთარი ენით“. გაეროს დეკლარაციაში ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ

ოსლოს რეკომენდაციები

უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებათა შესახებ, კერძოდ მისი მე-3 მუხლის პირველ პუნქტში გაცხადებულია, რომ „უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ თავიანთი უფლებებით... როგორც ინდივიდუალურად, ისე მათი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთობლიობაში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“.

რელიგიური მრწამსი და მისი ჯგუფური აღსრულება ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული მრავალი ადამიანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკუთარი რელიგიური მრწამსის უფლება შეზღდუდველ უფლებას წარმოადგენს და იგი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18(1) მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9(1) მუხლით არის გარანტირებული. ამასთანავე, საკუთარი მრწამსისა და რელიგიური შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის – საჯარო დგთისმსახურების თავისუფლებაც, გარკვეულ შეზღდვებს ექვემდებარება, რომლებიც მითითებული მუხლების ქვაბული შიარებისა ჩამოთვლილი. ამგვარი შეზღდვები კანონით უნდა დადგინდეს და მათი არსებობა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის, ზნეობრივი პრინციპების, სხვა ადამიანების ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მოთხოვნებით უნდა იყოს განპირობებული. ეს შეზღდვები გონივრულობის ჩარჩოებში უნდა თავსდებოდეს და დასახული მიზნის შესაბამისი უნდა იყოს, ხოლო სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ისინი აამოქმედონ იმისათვის, რომ ჩაახშონ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების სამართლიანი სულიერი, ენობრივი ან კულტურული მისწრაფებანი.

ეროვნული უმცირესობების კონტექსტში რელიგიის აღმსარებლობა ხშირად მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურული და ენობრივი თვითმყოფადობის შენარჩუნებასთან. დგთისმსახურების საჯაროდ აღსრულებისას უმცირესობის ენით სარგებლობის უფლება ისეთივე ფუნდამენტური უფლებაა, როგორც რელიგიური

ოსლოს რეკომენდაციები

დაწესებულებების დაფუძნებისა და, საკუთრივ, დგთისმსახურების საჯაროდ აღსრულების უფლება. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ არამართლზომიერი შეზღუდვების დაწესება არც დგთისმსახურების საჯაროდ აღსრულებაზე და არც რომელიმე ენით სარგებლობაზე საჯარო დგთისმსახურების დროს, იქნება ეს მოცემული ეროვნული უმცირესობის მშობლიური ენა თუ მოცემულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ლიტურგიული ენა.

- 5) რელიგიური აქტები, როგორიცაა საქორწინო ან დაკრძალვის ცერემონიები, შესაძლებელია ასევე წარმოადგენდეს იურიდიულ სამოქალაქო აქტებს, რომლებიც გარკვეულ ქვეყნებში მოქალაქეთა სამოქალაქო სტატუსს განსაზღვრავს. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა საჯარო ინტერესის გათვალისწინებაც. გამომდინარე იმ პრინციპიდან, რომ დაუშვებელია ადამიანის უფლებათა შეზღუდვა ადმინისტრაციული მოსაზრებებით, ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ რაიმე სახის ენობრივი შეზღუდვების დაწესება რელიგიური გაერთიანებების მიმართ. ნათქვამი თანაბრად ეხება იმ ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც, რომელთა შესრულებას რელიგიური გაერთიანებები საკუთარ თავზე იღებენ და, რომლებიც, შესაძლოა, იმავდროულად სამოქალაქო იურისდიქციის სფეროშიც შედიოდნენ. ამასთანავე, სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს რელიგიურ გაერთიანებას უზრუნველყოს მის გამგებლობაში არსებული სამოქალაქო აქტების აღრიცხვა სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზე, რათა სახელმწიფოს პქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს შესაბამისი მარეგულირებელი და ადმინისტრაციული ფუნქციები.

საზოგადოებრივი ცხოვრება და არასამთავრობო ორგანიზაციები

- 6) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების კოლექტიური ცხოვრება, მათი მოქმედება სხვებთან „ერთობლიობაში“, როგორც ეს საერთაშორისო აქტებშია დაფიქსირებული, მრავალ სხვადასხვა სახის საქმიანობასა და სფეროში პპოვებს

ოსლოს რეკომენდაციები

გამოხატულებას. ამათგან მცირე მნიშვნელობა როდი ენიჭება არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას, რომელთა არსებობა, ჩვეულებრივ, სასიცოცხლოდ აუცილებელია ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. გარდა ამისა, საზოგადოდ აღიარებულია აზრი, რომ ასეთი გაერთიანებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ფასეულობების განვითარების საქმეში.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე და 22-ე მუხლებით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით უზრუნველყოფილია მშვიდობიანი შეკრების უფლება და გაერთიანებების თავისუფლება. პირთა უფლება იმოქმედონ მათი ჯგუფის სხვა წევრებთან „ერთობლიობაში“ – მათი უფლება დააფუძნონ და მართონ საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები და დაწესებულებები – ლია და და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. აღნიშნული პაქტის 27-ე მუხლი ადასტურებს, რომ „პირებს, რომლებიც... უმცირესობებს მიეკუთვნებიან, არ შეიძლება ჩამოერთვათ უფლება, თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთობლიობაში... ისარგებლონ საკუთარი ენით“. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ იმ ორგანიზაციების – რომლებიც „ერთობლიობაში მოქმედებენ“ – შინაურ საქმეებში ჩარევა და არც რაიმე ისეთი შეზღუდვების დაწესების უფლება აქვთ უკანასკნელთა მიმართ, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ნორმებით ნებადართული არ არის. ამგვარადგვე, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ავალდებულებს სახელმწიფოებს „არ შელახონ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლება მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე“.

ოსლოს რეკომენდაციები

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ თითოეული სახელმწიფო იღებს ვალდებულებას „უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე მცხოვრები და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი თითოეული პირისათვის წინამდებარე პაქტში აღიარებული უფლებები, განურჩევლად რაიმე ნიშნისა, როგორიცაა... ენა“. ამ ნორმიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს არა აქვთ უფლება ენობრივ დისკრიმინაციაში ამყოფონ არასამთავრობო ორგანიზაციები ან რაიმე არამართლზომიერი ენობრივი შეზღუდვები დაუწესონ მათ. ამასთანავე, ნათქვამის გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ ამ ორგანიზაციებმა, ასოციაციებმა და დაწესებულებებმა შეასრულონ ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლებიც საფუძვლიან საჯარო ინტერესებს ემსახურება. მათ შორისაა მოთხოვნა ისარგებლონ სახელმწიფოს ოფიციალური ენით (ან ენებით), როცა საქმე ეხება სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებს.

რაც შეეხება რესურსებს, კოპენაგენის დოკუმენტის 32.2-ე პუნქტში ნათქვამია, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ „დააარსონ და შეინახონ საკუთარი საგანმანათლებლო, კულტურული და რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები ან ასოციაციები, რომელთაც შეუძლიათ მოიზიდონ ნებაყოფილობითი ფინანსური და სხვა სახის შემოწირულობანი, აგრეთვე, სახელმწიფო დახმარება, თანახმად ეროვნული კანონმდებლობისა“. შესაბამისად, სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ასეთი ორგანიზაციებისათვის ფინანსური მხარდაჭერის ძიების აკრძალვა, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე საერთაშორისო საჯარო წყაროებიდან და კერძო სექტორიდან.

- 7) რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო სფეროს საქმიანობის დაფინანსებას, სხვებთან ერთად - სოციალურ, კულტურულ ან სპორტის სფეროებში, თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების განხორციელება მოითხოვს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა დაფინანსების სათანადო წილი გამოყონ მსგავსი საქმიანობისათვის,

ოსლოს რეკომენდაციები

რომელიც მოცემული სახელმწიფოს საზღვრებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ენაზე ხორციელდება. ამ კონტექსტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში არა მხოლოდ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამა თუ იმ პირებთან ურთიერთობაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი რაიმე განსხვავებულ მიდგომებს ენობრივი ნიშნით, არამედ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი კიდევაც მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „გადადგან აუცილებელი ნაბიჯები... ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომების მისაღებად, რომლებიც შეიძლება აუცილებელი იყოს... პაქტში აღიარებული უფლებების განსახორციელებლად“. გარდა ამისა, საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ (რომლის მიზანია აღმოფხვრას რაიმე სახის განსხვავება, გამორიხვა, შეზღუდვა ან უპირატესობა რასობრივი, კანის ფერის, წარმოშობის, ეროვნული ან ეთნიკური ნიშნით), მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში აცხადებს, რომ „მხარე სახელმწიფოებმა, ვითარების შესაბამისად, უნდა მიიღონ საგანგებო და კონკრეტული ზომები სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ან სხვა სფეროებში, რათა უზრუნველყონ გარკვეული რასობრივი ჯგუფების ან ასეთ ჯგუფებს მიკუთვნებული პირების სათანადო განვითარება და დაცვა და ამით უზრუნველყონ მათ მიერ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სრული და თანასწორი სარგებლობა...“. რამდენადაც ხშირად ენა ეთნიკურობის განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს, რაც აღნიშნული კონვენციის დაცვის ქვეშ იმყოფება, ენობრივი უმცირესობის წარმოამდგენლებს ასევე ეძლევათ უფლება ისარგებლონ ასეთი „საგანგებო და კონკრეტული ზომებით“.

ევროპის დონეზე კოპენჰაგენის დოკუმენტის 31-ე პუნქტი აცხადებს, რომ „აუცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფოები მიიღებენ საგანგებო ზომებს, რათა უზრუნველყონ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებისათვის სრული თანასწორობა სხვა მოქალაქეებთან ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობის მხრივ“. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში ავალდებულებს მხარე

ოსლოს რეკომენდაციები

სახელმწიფოებს „აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ სათანადო ზომები, რათა ხელი შეუწყონ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში სრული და ქმედითი თანასწორობის დამკვიდრებას ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირებსა და იმ პირებს შორის, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ“; იმავე მუხლის მე-3 პუნქტი აგრეთვე აცხადებს, რომ „მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები არ განიხილება, როგორც დისკრიმინაციის აქტი“. გარდა ამისა, რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში განცხადებულია, რომ „საგანგებო ზომების მიღება რეგიონული ან უმცირესობის ენების სასარგებლოდ, რომელთა მიზანს ამ ენებზე მოლაპარაკე პირებსა და მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს შორის თანასწორობის ხელშეწყობა წარმოადგენს, ან რომლებიც მხედველობაში იღებს განსაკუთრებულ პირობებს, რომლებშიც ისინი იმყოფებიან, არ ჩაითვლება დისკრიმინაციის აქტად მათ მიმართ, ვინც უფრო ფართო გავრცელების მქონე ენებზე ლაპარაკობს“. ამიტომაც, ამ კონტექსტიდან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გამოყონ სახსრების სამართლიანი წილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რათა დააფინანსონ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების საქმიანობა, მათ შორის - სოციალურ, კულტურულ და სპორტის სფეროებში. ასეთი მხარდაჭერა შეიძლება გაწეულ იქნეს, როგორც სუბსიდიების, ისე სახელმწიფო დახმარებებისა და საგადასახადო შედავათების სახით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

- 8) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი, რომელიც აზრის ქონისა და თავისუფლად გამოხატვის უფლებას უზრუნველყოფს, ძირითად ათვლის წერტილად არის მიჩნეული, როცა საუბარია იმაზე, თუ რა როლი აკისრია და რა ადგილი უჭირავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დემოკრატიულ საზოგადოებებში. თუკი აღნიშნული მე-19 მუხლის პირველი პუნქტი აცხადებს, რომ „ყველას აქვს უფლება იქონიოს აზრი

ოსლოს რეკომენდაციები

გარედან ჩარევის გარეშე“, იმავე მუხლის მე-2 პუნქტი უფრო შორს მიდის, „უზრუნველყოფს რა ყველა ადამიანის უფლებას „ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია და იდეები, ყოველგვარი საზღვრების გარეშე, როგორც ზეპირად, ისე წერილობით ან ბეჭდვითი სახით, ხელოვნების ნიმუშის ფორმით, ან მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებით, რომელსაც თავად აირჩევს“. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი ანალოგიურად „უზრუნველყოფს აზრის გამოხატვის თავისუფლებას. ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ დეკლარაციის პირველ მუხლში კიდევ ერთხელ დაადასტურეს „მტკიცე ერთგულება აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების, როგორც დემოკრატიისა და პლურალისტული საზოგადოების ძირითადი ელემენტის მიმართ“. ამის საფუძველზე, სახელმწიფოებმა იმავე აქტში განაცხადეს, რომ „ინფორმაციისა და მას-მედიის სფეროში მათ სურთ მიაღწიონ... დ) დამოუკიდებელი და ავტონომიური ინფორმაციის საშუალებების ფართო სპექტრის არსებობას, რაც განსხვავებული იდეებისა და შეხედულებების ასახვის საშუალებას იძლევა“.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მკაფიოდ მიუთითებს, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს თავისუფლად შეუძლიათ „იქონიონ საკუთარი აზრი და მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე, ხელისუფლების ორგანოების ჩაურევლად და საზღვრების მიუხედავად...“ ერთერთ მომდევნო წინადადებაში, იგივე დებულება ავალდებულებს სახელმწიფოებს „მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში უზრუნველყონ, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას ინფორმაციის საშუალებების ხელმისაწვდომობის მხრივ“. ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში განცხადებულია, რომ სახელმწიფოებმა „არ უნდა შეუშალონ ხელი ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს ბეჭდვითი ინფორმაციის საშუალებების დაარსებასა და სარგებლობაში“. იგივე დებულება მოითხოვს, რომ „რადიო და

ოსლოს რეკომენდაციები

სატელევიზიო მაუწყებლობის სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში [სახელმწიფოები] ვალდებული არიან უზრუნველყონ, რამდენადაც ეს შესაძლებელია... რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა შექმნან და ისარგებლონ საკუთარი საინფორმაციო საშუალებებით“. აღსანიშნავია ისიც, რომ საინფორმაციო საშუალებებს, სხვებთან ერთად, შეიძლება წარმოადგენდეს კოპენპაგენის დოკუმენტის 32.2 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებები. ეს პუნქტი უფლებას ანიჭებს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს „დააარსონ და შეინახონ საკუთარი საგანმანათლებლო, კულტურული და რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები...“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ნორმაში საინფორმაციო საშუალებები პირდაპირ დასახელებული არ არის, ხშირად ისინი ძირითად როლს ასრულებენ ენის, კულტურისა და თვითმყოფადობის ხელშეწყობისა და დაცვის საქმეში.

თუმცა არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს აქვთ უფლება დააარსონ და შეინახონ კერძო საინფორმაციო საშუალებები, ჰეშმარიტია ისიც, რომ ეს უფლება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებსაც ითვალისწინებს როგორც საერთაშორისო სამართალი, ისე სახელმწიფოს საფუძვლიანი მოთხოვნები საინფორმაციო საშუალებების რეგულირებასთან მიმართებაში. ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი სრულიად მკაფიოდ მიუთითებს ამაზე, ხაზს უსვამს რა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება, რომელზეც საუბარია კონვენციის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში, „ხელს არ უშლის მხარეებს მოითხოვონ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის, აგრეთვე კინოკომპანიების ლიცენზირება“. თუმცა, მარეგულირებელმა მოთხოვნებმა, სადაც მათი არსებობა გამართლებული და აუცილებელია, ეჭვება არ უნდა დააყენონ ამ უფლებით სარგებლობა.

- 9) სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის საკითხი მჭიდროდადა დაკავშირებული აზრის გამოხატვის თავისუფლების ცნებასთან.

ოსლოს რეკომენდაციები

ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში განცხადებულია, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების აზრის გამოხატვის უფლება ინფორმაციისა და იდეების უმცირესობის ენაზე გავრცელების თავისუფლებასაც გულისხმობს, რაშიც ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს. ამას გარდა, იმავე პუნქტში ნათქვამია, რომ „დაუშვებელია უმცირესობის წევრების დისკრიმინაცია საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის მხრივ“. ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტში ნათქვამია, რომ „მხარეები ვალდებული არიან მიიღონ სათანადო ზომები, რათა ხელი შეუწყონ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობაში“. ეს კი ნიშნავს, რომ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც წევრთა მნიშვნელოვან რაოდენობას მოიცავს, უნდა გამოეყოს სახელმწიფო რადიოს და/ან ტელევიზიის საეთერო დროის სამართლიანი წილი, ხოლო ამ საეთერო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება მოცემული უმცირესობის რიცხობრიობის შესაბამისად.

ამასთანავე, რიცხობრიობისა და კონცენტრაციის მაჩვენებლები არ უნდა იყოს მიჩნეული ერთადერთ კრიტერიუმად, როცა საქმე ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობისათვის გამოსაყოფი საეთერო დროის განსაზღვრას ეხება. ფრონ მცირე ჯგუფების შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები დროისა და სახსრების სასიცოცხლოდ აუცილებელი მინიმუმი, რომლის გარეშეც ამ მცირე ჯგუფებს ინფორმაციის საშუალებებით გონივრულად სარგებლობის შესაძლებლობა არ ექნებათ.

გარდა ამისა, გონივრული, არადისკრიმინაციული მიდგომაა საჭირო უმცირესობების პროგრამებისათვის გამოყოფილი დროის ხარისხის დადგენის შემთხვევაშიც. უმცირესობის ენაზე მომზადებული პროგრამებისათვის გამოყოფილი დროის მონაცემთი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირებს შეეძლოთ მათ ენაზე მომზადებული პროგრამებით სრულად სარგებლობა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული პროგრამების გადაცემა დღის ხელსაყრელ პერიოდში.

ოსლოს რეკომენდაციები

- 10) ლია და დემოკრატიულ საზოგადოებაში საინფორმაციო საშუალებების მიერ მომზადებული პროგრამების შინაარსი არ შეიძლება ექვემდებარებოდეს არამართლზომიერ ცენზურას სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აზრის გამოხატვის თავისუფლებას, რომელსაც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს. ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების ორგანოების მიერ, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ ასეთი შეზღუდვები „მხოლოდ იმგვარი შეიძლება იყოს, რომლებსაც ითვალისწინებს კანონი და, რომლებიც აუცილებელია: ა) სხვების უფლებებისა და რეპუტაციის პატივსაცემად; ბ) ეროვნული უსაფრთხოებისა ან საზოგადოებრივი წესრიგის (ორდრე პუბლიც), ანდა საზოგადოების ჯანმრთელობისა და ზნეობრივი პრინციპების დასაცავად“. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი თითქმის ასეთსავე შეზღუდვებს უწესებს ხელისუფლების ორგანოებს, როცა საქმე ამ უკანასკნელთა მხრიდან აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ეხება.

აუცილებელია იმგვარი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობების მიერ ან მათი სახელით მომზადებული სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების პროგრამებში ამ უმცირესობების წევრთა ინტერესებისა და სურვილების ასახვას და აღიქმება მათ მიერ, როგორც მოვლენათა დამოუკიდებელი შეფასება. ამ თვალსაზრისით, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების (რომლებიც კერძო პირების რაგში მოქმედებენ) მონაწილეობა პროგრამების რედაქტირების პროცესში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებლობისა და ამ პროგრამებისა და მათი ადრესატი ჯგუფების მოთხოვნილებების შესაბამისობის უზრუნველყოფის საქმეში.

თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების თანახმად, საჯარო ინსტიტუტების შემადგენლობა იმ მოსახლეობის ამსახველი უნდა იყოს, რომელსაც ისინი ემსახურებიან. ეს საინფორმაციო საშუალებებსაც ეხება. ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს „შექმნან ყველა პირობა, რომელიც აუცილებელია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ქმედითი მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, აგრეთვე, საჯარო საქმეებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხება“. შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №111 კონვენციის მე-2 მუხლი კიდევ უფრო მკაფიოდ ავალდებულებს სახელმწიფოებს „გაატარონ ისეთი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს... შრომისა და დასაქმების სფეროში თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპების დამკვიდრებას, რათა აღნიშნულთან მიმართებაში უზრუნველყონ დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინების აღმოფხვრა“. ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების არადისკრიმინაციული დაქირავება საინფორმაციო საშუალებებში სამუშაოდ მხოლოდ ხელს შეუწყობს ამ საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლობითობისა და ობიექტურობის ზრდას.

- 11) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19(2) და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მე-9(1) მუხლების სულისკვეთების, აგრეთვე, დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის შესაბამისად, საკუთრივ ის ფაქტი, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ რომელიმე სხვა სახელმწიფოს, ან მათი „მონათესავე“ სახელმწიფოს ტერიტორიიდან გადაცემული პროგრამები მშობლიურ ენაზე, ვერ გაამართლებს ამ უმცირესობისათვის სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებში გამოყოფილი საეთერო დროის შემცირებას იმ სახელმწიფოში, სადაც ისინი ცხოვრობენ.

ქვეყნის საზღვრებს მიღმა არსებული ინფორმაციითა და საინფორმაციო საშუალებების ქსელებით სარგებლობის თავისუფლება ინფორმაციის თავისუფლების საყრდენ ელემენტს წარმოადგენს, რასაც, სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება. აქედან გამომდინარე, მაგალითად, იქ, სადაც ადგილი აქვს საკაბელო მაუწყებლობის ლიცენზირებას, სახელმწიფოს არ გააჩნია კანონიერი საფუძველი უარი განაცხადოს ეროვნული უმცირესობისათვის მონათესავე სახელმწიფოში მოქმედი სატელევიზიო ან რადიო სადგურების ლიცენზირებაზე, თუ მოცემულ ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულმა პირებმა მკაფიოდ გამოხატეს სურვილი მიიღონ ამ სადგურების მიერ გადაცემული პროგრამები. ეს უფლება არა მხოლოდ საკაბელო საინფორმაციო საშუალებებს, არამედ ეროვნული უმცირესობის ენაზე არსებულ ელექტრონულ საინფორმაციო ქსელებსაც ეხება.

უფრო ზოგადად, ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, როგორც ეს აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ დეკლარაციის III მუხლის „გ“ პუნქტშია დადგენილი, რომ „ხელი შეუწყონ ინფორმაციის თავისუფალ ნაკადს და ამით საკუთარი წვლილი შეიტანონ საერთაშორისო დონეზე ურთიერთგაბების ატმოსფეროს დამკვიდრების, შეხედულებებისა და ტრადიციების უკეთ გაცნობის, აზრთა პლურალიზმის მიმართ პატივისცემისა და კულტურათა ურთიერთგამდიდრების საქმეში“. რამდენადაც ეს საინფორმაციო საშუალებების ისეთ კონტაქტებს ეხება, რომლებიც კვეთენ არსებულ საზღვრებს, სახელმწიფოებმა უნდა შეუსაბამონ თავისი პოლიტიკა ამ დებულების სულისკვეთებას.

ეკონომიკური ცხოვრება

- 12) საერთაშორისო აქტები ძალზე მწირ მითითებებს შეიცავენ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების იმ უფლებებზე, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას შეეხება. ამასთანავე, საერთაშორისო აქტებში მითითებულია ეროვნულ
-

ოსლოს რეკომენდაციები

უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლება თავისუფლად ისარგებლონ საკუთარი ენით, როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო ცხოვრებაში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ზეპირად, ისე წერილობით, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვებთან ერთობლიობაში. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს აზრის გამოხატვის თავისუფლებას არა მხოლოდ იმ იდეებთან და შეხედულებებთან მიმართებაში, რომლებიც სხვებს შეიძლება გადაეცეს (ანუ კომუნიკაციის შინაარსთან მიმართებაში), არამედ ენასთან, როგორც კომუნიკაციის საშუალებასთან მიმართებაშიც. ეს უფლებები, თანასწორობის უფლებასთან და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპთან ერთად, გულისხმობს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებას აწარმოონ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა იმ ენაზე, რომელსაც თავად აირჩევენ. გამომდინარე იქიდან, რომ კერძო მეწარმეებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტური ურთიერთობების დამყარება კლიენტებთან და საკუთარი ინიციატივების სამართლიანობის პირობებში განხორციელება, დაუშვებელია ენის არჩევის თავისუფლებაზე არამართლზომიერი შეზღუდვების დაწესება.

ჩარჩო კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია, რომ „თითოეულ პირს, რომელიც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნება, უფლება აქვს გამოაკრას საჯარო ადგილებში მისი უმცირესობის ენაზე შესრულებული ნიშნები, წარწერები და სხვა კერძო ხასიათის ინფორმაცია“. ჩარჩო კონვენციაში სიტყვებში „კერძო ხასიათის“ იგულისხმება ყოველივე, რაც ოფიციალური არ არის. აქედან გამომდინარე, როცა საქმე ეხება კერძო საწარმოების საქმიანობას, სახელმწიფოს არა აქვს უფლება რაიმე სახის შეზღუდვები დააწესოს ენის არჩევის უფლებაზე.

ზემოთქმულის მიუხედავად, სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს ოფიციალური სახელმწიფო ენის ან ენების გამოყენება ეკონომიკური ცხოვრების იმ სფეროებში,

ოსლოს რეკომენდაციები

რომლებიც სხვების მიერ თავისი უფლებებით სარგებლობას ეხება, ან როცა ადგილი აქვს ინფორმაციის გაცვლას და კომუნიკაციებს ხელისუფლების ორგანოებთან. აღნიშნული გამომდინარეობს აზრის გამოხატვის თავისუფლების იმ ნებადართული შეზღუდვებისაგან, რომლებსაც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მუ-19(3) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მუ-10(2) მუხლები ითვალისწინებს. თუკი ზემოთ მითითებული მუხლებით გათვალისწინებული, ცალკეული ნებადართული შეზღუდვები შეიძლება ამართლებდეს კომუნიკაციების შინაარსზე დაწესებულ შეზღუდვებს, ისინი არც ერთ შემთხვევაში არ ამართლებს რაიმე ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც შეიძლება დაუწესდეს ენით, როგორც კომუნიკაციის საშუალებით, სარგებლობას. ამასთანავე, თუ საქმე ეხება სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და სახელმწიფო ადმინისტრაციის შეზღუდულ მოთხოვნილებებს, შეიძლება დასაბუთდეს სახელმწიფო ენისა ან ენების დამატებით გამოყენების შესახებ კონკრეტული მოთხოვნა. აღნიშნული, ვითარების შესაბამისად, შეიძლება მიესადაგოს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა სამუშაო ადგილებზე ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მომხმარებელთა დაცვა, შრომითი ურთიერთობები, გადასახადები, ფინანსური ანგარიშება, ჯანმრთელობისა და უმუშევრობის სახელმწიფო დაზღვევა და ტრანსპორტი. დასაბუთებული საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ საწარმოს საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა საზოგადოებრივი სარგებლობისათვის აბრებისა და წარწერების გამოკვრა, რომელიმე სხვა ენასთან ერთად სახელმწიფოს ოფიციალური ენა ან ენებიც იყოს გამოყენებული, როგორც ეს პირდაპირაა მითითებული ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის განმარტებითი ბარათის მე-60 პუნქტში. ამრიგად, სახელმწიფოს არცერთ შემთხვევაში არ შეუძლია აკრძალოს რომელიმე ენით სარგებლობა, თუმცა, დასაბუთებული საჯარო ინტერესის საფუძველზე მას შეუძლია დაადგინოს, რომ დამატებით სახელმწიფოს ოფიციალური ენა ან ენებიც იყოს გამოყენებული.

დასაბუთებული საჯარო ინტერესის ლოგიკიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ნებისმიერი მოთხოვნა (ან მოთხოვნები) ენით სარგებლობასთან დაკავშირებით შესაბამისი საჯარო ინტერესების პროპორციული უნდა იყოს. ნებისმიერი მოთხოვნის პროპორციულობა მისი აუცილებლობის ხარისხიდან გამომდინარე განისაზღვრება. თუ, მაგალითად, საქმე სამუშაო ადგილებში ადამიანთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას ეხება, სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს კერძო საწარმოებს, რომ გამაფრთხილებელი წარწერები, საწარმოს მიერ შერჩეულ ენასთან (ან ენებთან) ერთად, სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც გამოიკრას. ამგვარადვე, გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებში სათანადო საჯარო ადმინისტრირების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს საგადასახადო ფორმების სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც შევსება და, რომ, სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული რევიზიის შემთხვევაში, შესაბამისი ჩანაწერები სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც იყოს წარმოდგენილი; ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება არა ის, რომ კერძო საწარმოები ვალდებული არიან ყოველგვარი ჩანაწერები სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზე აწარმოონ, არამედ მხოლოდ ის, რომ, თუ საჭირო გახდა თარგმანი, მისი შესრულების ტვირთი კერძო საწარმოს უნდა დაეკისროს. ყოველივე ზემოთქმული ოდნავადაც არ ზღუდავს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებას ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში საკუთარი ენით (ან ენებით) ისარგებლონ, როგორც ამას ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მუ-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

ადმინისტრაციული ორგანოები და საზოგადოებრივი მომსახურება

13-15) ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებმა აიდეს ვალდებულება მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა ხელი შეუწყონ ისეთი

დინამიური გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების თვითმყოფადობის (მათ შორის ენის) შენარჩუნებას, არამედ მათ განვითარებასა და მხარდაჭერასაც. ამის შედეგად, აღნიშნულმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება პატივი სცენ „ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებას მიიღონ ქმედითი მონაწილეობა საჯარო საქმეებში“, როგორც ეს კოპენპაგენის დოკუმენტის 35-ე პუნქტშია აღნიშნული. ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში პირდაპირ მოითხოვს სახელმწიფოებისაგან „შექმნან პირობები, რათა ეროვნულ უმცირესობებს შეეძლოთ საკუთარი ენით სარგებლობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში“. კოპენპაგენის დოკუმენტის 35-ე პუნქტი აგრეთვე მიუთითებს ისეთი გარემოს შექმნის შესაძლებლობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობებს მონაწილეობა მიიღონ საჯარო საქმეებში საკუთარ ენაზე, რაც შეიძლება განხორციელდეს „სათანადო ადგილობრივი ან ავტონომიური მმართველობის შექმნის გზით, უმცირესობების კონკრეტულ ისტორიულ და ტერიტორიულ მდგომარეობასა და მოცემული სახელმწიფოს პოლიტიკასთან შესაბამისობაში“. ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს „შექმნან აუცილებელი პირობები, რათა უზრუნველყონ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ქმედითი მონაწილეობა კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, აგრეთვე საჯარო საქმეებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც მათ უშუალოდ ეხება“. აღნიშნული დებულებები ავალდებულებს ხელისუფლების ორგანოებს საშუალება მისცენ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობა საკუთარ ენაზე დაამყარონ, ანდა სამოქალაქო მდგომარეობის დამადასტურებელი მოწმობები და ატესტატები საკუთარ ენაზე მიიღონ. თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებიდან გამომდინარე, აღნიშნული დებულებები მიმდინარე პროცესებში ეროვნული უმცირესობების დინამიურ მონაწილეობასაც გულისხმობს, როცა უმცირესობის ენა შეიძლება სრულუფლებიანი კომუნიკაციის საშუალება გახდეს,

ოსლოს რეკომენდაციები

როგორც ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე მოქალაქეებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის ურთიერთობაში, საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს ჩათვლით.

ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლობა ისეთ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და დაწესებულებებში, რომლებსაც მოსახლეობის მომსახურება ევალებათ, ჩვეულებრივ, პლურალისტული, დია და არადისკრიმინაციული საზოგადოების მანიშნებელია. იმისათვის, რომ აღმოფხვრას სისტემის შიგნით წარსულში ან აწმყოში არსებული დისკრიმინაციის შედეგები, შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია №111 მე-2 მუხლში ავალდებულებს სახელმწიფოებს „გაატარონ ისეთი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს... შრომისა და დასაქმების სფეროში თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპების დამკვიდრებას, რათა უზრუნველყონ ამ საკითხებში დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინების აღმოფხვრა“:

როცა საქმე ეხება ისეთი პროგრამებისა და მომსახურების შემუშავებასა და განხორციელებას, რომელთა მიზანია საზოგადოების მომსახურება, უსაფუძვლო არ არის მოლოდინო, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ზემოთ ჩამოყალიბებული პრინციპების ერთგულნი არიან, მხედველობაში მიიღებენ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების როგორც მკაფიოდ გამოხატულ სურვილებს, ისე მათი რიცხობრიობიდან გამომდინარე სამართლიანობის დაცვის პრინციპს. იქ, სადაც მოთხოვნა განცხადებულია, ხოლო რიცხობრიობა კი – მნიშვნელოვანი, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ გადასახადების გადამხდელებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მომსახურება საკუთარ ენაზეც მიიღონ. ნათქვამი განსაკუთრებით ჯანდაცვისა და სოციალურ მომსახურებას ეხება, რაც უშუალო და ფუნდამენტურ გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების დონეზე.

თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს თანასწორად და სამართლიანად მოეპყრან. სახელმწიფოები ვალდებული არიან ცნონ მათ იურისდიქციას დაქვემდებარებული რეგიონების დემოგრაფიული რეალიები. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოები არ უნდა გაექცნენ თავის ვალდებულებებს და არ შეცვალონ ამა თუ იმ რეგიონის რეალური დემოგრაფიული მაჩვენებლები. კერძოდ, ჩარჩო კონვენციის მე-16 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს თავი შეიკავონ ისეთი ზომებისაგან, რომლებიც შედეგად გამოიღებს ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის შეფარდების თვითნებურ შეცვლას იმ მიზნით, რათა შეზღუდონ ამ უმცირესობების უფლებები. ასეთ ზომებს შორის შეიძლება იყოს თვითნებური ექსპროპრიაცია, გასახლება, ქვეყნიდან გაძევება, აგრეთვე ადმინისტრაციული საზღვრების თვითნებურად შეცვლა და მოსახლეობის აღწერის შედეგებით მანიპულირება.

დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტები

- 16) ადამიანის უფლებები მათთვის, ვინც ამ უფლებებით უნდა ისარგებლოს, რეალურ მნიშვნელობას იმ შემთხვევაში იძენენ, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები სათანადო მექანიზმებს ქმნიან საერთაშორისო კონვენციებითა თუ დეკლარაციებით ან სახელმწიფოს შიგა კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების ეფექტიანად უზრუნველყოფისა და დაცვისათვის. დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტები, როგორც სასამართლო პროცედურების დამატება, შესაძლოა, უფრო სწრაფი და იაფი საშუალება იყოს და აქედან გამომდინარე, უფრო იოლად ხელმისაწვდომნიც.

დისკრიმინაცია, როგორც იგი რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციაშია ასახული, მხოლოდ რასობრივი ნიშნით არ განისაზღვრება. აღნიშნული კონვენციის 1 მუხლის 1 პუნქტში განმარტებულია, რომ

ოსლოს რეკომენდაციები

რასობრივი დისკრიმინაციის ცნება ნიშნავს „ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ან ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე, რომლის მიზანია, ან რომელსაც შედეგად მოქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სხვა სფეროში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორობის პრინციპის საფუძველზე აღიარების, სარგებლობის ან განხორციელების ლიკვიდაცია ან „შეზღუდვა“. კონვენციის მე-6 მუხლი აცხადებს, რომ „მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ნებისმიერი პირისათვის, რომელიც მათი იურისდიქციის ქვეშ იმყოფება, კომპეტენტური ეროვნული ტრიბუნალებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების საშუალებით ქმედითი დაცვა და დაცვის საშუალებები რასობრივი დისკრიმინაციის აქტების წინააღმდეგ, რომლებიც, ამ კონვენციის საწინააღმდეგოდ, არღვევს ამ პირის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს...“ ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოების მიერ ისეთი ეროვნული ინსტიტუტების შექმნა, როგორებიცაა ომბუდსმენის ინსტიტუტი ან ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, რომელთაც შეუძლიათ ანაზღაურებისა და კომპენსაციის მქანიზმის ფუნქცია შეასრულონ, სწორედ ის ზომა, რომელიც მოცემული სახელმწიფოს დემოკრატიულ და პლურალისტულ ბუნებაზე მეტყველებს. შესაბამისად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1993 წლის 20 დეკემბრის №48/134 რეზოლუციიდან გამომდინარე, ევროპის საბჭომ, მინისტრთა კომიტეტის 1997 წლის 30 სექტემბრის რეკომენდაციაში № R (97)14 დაადგინა, რომ ისეთი დაწესებულებების შექმნა, როგორებიცაა „ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ინსტიტუტები, განსაკუთრებით კი – ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიები, რომლებიც პლურალისტულია თავისი შემადგენლობით, ომბუდსმენისა და სხვა ამგვარი ინსტიტუტები“, წასახალისებელ ინიციატივას წარმოადგენს. ამგვარი მქანიზმებით სარგებლობა უნდა შეეძლოთ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებსაც, რომლებიც თვლიან, რომ მათი ენობრივი ან სხვა უფლებები შეიიღანა.

მართლმსაჯულების ორგანოები

- 17/18) საერთაშორისო სამართალი მოითხოვს ხელისუფლების ორგანოებისაგან, რომ ყველა პირს, რომელიც დაპატიმრებულია, ბრალდებულია ან სამართალშია მიცემული, ეცნობოს მის მიმართ წაყენებული ბრალდების შინაარსი და განემარტოს ყველა თანმხლები პროცედურა მისთვის გასაგებ ენაზე. საჭიროების შემთხვევაში მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა უფასოდ ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურებით. ეს ნორმა, რომელიც სავალდებულო სამართლებრივ პროცედურას აწესებს, უნივერსალურ ხასიათს ატარებს და, როგორც ასეთი, ეროვნული უმცირესობების ენობრივ უფლებებს არ ეხება. იგი უფრო კანონის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებს ეყრდნობა. აღნიშნული პრინციპების მიმართ პატივისცემას მართლაც რომ სასიცოცხლო მნიშვნელობა სისხლის სამართლებრივი დევნისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროში ენიჭება. ამის გამო, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი მოითხოვს, რომ ყოველი ადამიანი, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, „სასწრაფოდ და დეტალურად, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა იქნეს ინფორმირებული მისთვის წაყენებული ბრალდების ხასიათისა და მიზეზების შესახებ“. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი იგივე მოთხოვნას თითქმის ასეთივე სიტყვებით გადმოსცემს. გარდა ამისა, აღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ასეთსავე მოთხოვნას აწესებს პირის დაპატიმრებასთან დაკავშირებითაც. მეტიც, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი უზრუნველყოფს ყველა ადამიანის უფლებას „სრული თანასწორობის საფუძველზე ... ე) დაკითხოს, ანდა მოითხოვოს, რომ დაიკითხოს ყოველი მოწმე, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას და მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და დაკითხვა იმავე პირობების საფუძველზე, რომლებზედაც დაიკითხნებ ის მოწმეები, რომლებმაც მის საწინააღმდეგოდ

ოსლოს რეკომენდაციები

მისცეს ჩვენება“: ამასთან დაკავშირებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს ყველა ადამიანის უფლებას „ისარგებლოს თარჯიმის უფასო დახმარებით, თუ მას არ ესმის ან ვერ ლაპარაკობს იმ ენაზე, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი“. მართალია, ეს გარანტიები ენით სარგებლობის შესახებ კონკრეტულად სისხლის სამართლის პროცესთან მიმართებაშია დადგენილი, სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური გარანტიიდან გამომდინარეობს, როგორც ამას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება ითვალისწინებს, რომ ყოველგვარი სამართლებრივი პროცედურები მით უფრო სამართლიანად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც უფრო მკაცრადად დაცული თანასწორობის პრინციპი. ამგვარი მიღვომა, რომელიც ასევე ეხება ენის არჩევანსაც მთელი სასამართლო პროცესის მსვლელობაში, უნდა უბიძგებდეს სახელმწიფოებს ისეთი პოლიტიკის შემუშავებისაკენ, რომელიც მართლმსაჯულების თანასწორად და ეფექტიანად განხორციელებას ემსახურება.

უფრო ზოგადად, რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის მე-7 მუხლის პირველ პუნქტი აცხადებს, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან თავისი პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა ისეთ მიზნებსა და პრინციპებზე დააფუძნონ, როგორებიცაა „რეგიონული ან უმცირესობათა ენების, როგორც კულტურული სიმდიდრის ურთერთი გამოსახულების აღიარება“ და „უმცირესობათა ენების ხელშესაწყობად და მათი დაცვის მიზნით გადამწყვეტი ზომების აუცილებლობა“. ევროპული ქარტიის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი აცხადებს, რომ „რეგიონულ და უმიცრესობათა ენებთან დაკავშირებით თავისი პოლიტიკის განსაზღვრისას... მხარეები ვალდებული არიან მხედველობაში მიიღონ იმ ჯგუფების მოთხოვნილებები და სურვილები, რომლებიც ამ ენებით სარგებლობენ“. გარდა ამისა, ჩარჩო კონვენციის მე-15

მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს „შექმნან ყველა ისეთი პირობა, რომელიც აუცილებელია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ქმედითი მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, აგრეთვე საჯარო საქმეებში, განსაკუთრებით ისეთებაში, რომლებიც პირადად მათ ეხება“. თუ მხედველობაში მივიღებო ზემოაღნიშნულ სტანდარტებს და, იმავდროულად, დემოკრატიულ საზოგადოებებში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობასაც გავითვალისწინებთ, სრული საფუძველი გვაქვს ველოდოთ, რომ სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებას გამოხატონ თავისი აზრი საკუთარ ენაზე სასამართლო პროცესის (განურჩევლად იმისა, სისხლის სამართლის იქნება ის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული) ყველა ეტაპზე ისე, რომ ამასთან პატივი სცენ სხვების უფლებებსაც და უზრუნველყონ პროცესის მთლიანობა, გასაჩივრების სტადიის ჩათვლით.

- 19) რამდენადაც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ადამიანის უფლებების რეალიზაციის მხრივ სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, ამ ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი საზომია, თუ რამდენად უშუალოდ და იოლად შეუძლია ადამიანს მონაწილეობის მიღება მიმდინარე პროცედურებში. ამიტომაც იურიდიული პროცედურების წარმოება ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ენაზე (ან ენებზე) აიოლებს მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

ადნიშნულის საფუძველზე, რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის მე-9 მუხლი ადგენს, რომ შეძლებისდაგვარად და ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მთელი სასამართლო პროცესი რეგიონულ ან უმცირესობის ენაზე წარიმართოს. იგივე დასკვნამდე მივიდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაც, რომელიც თავისი 1201-ე რეკომენდაციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში ადგენს, რომ „რეგიონებში, სადაც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში, აგრეთვე

სასამართლო პროცესებზე და მართლმსაჯულების ორგანოებთან ურთიერთობაში მშობლიური ენით ისარგებლონ“. შესაბამისად, მართლმსაჯულების მუშაკთა შერჩევისა და სწავლების სფეროში სახელმწიფოებმა სათანადო პოლიტიკა უნდა გაატარონ.

თავისუფლების აღკვეთა

- 20) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 51-ე წესის 1 და 2 პუნქტებში, აგრეთვე ეკროპის საბჭოს ციხეების შესახებ ეკროპული დებულების მე-60 წესის 1 და 2 პუნქტებში ხაზგასმულია, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირების უფლება, რომ ციხის ადმინისტრაციას ესმოდეს მათი, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ის, რომ პატიმრებს ესმოდეთ ციხის ადმინისტრაციისა. ეს დებულებები უმცირესობების უფლებებს, პირდაპირ არ მიეკუთვნება. მაგრამ, თუ მოსახლეობის დაინტერესებული ნაწილის მიერ გამოთქმულ სურვილთან ერთად მხედველობაში მივიღებთ მის რიცხობრიობას, აგრეთვე, თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებს, აღნიშნული დებულებები კიდევ უფრო მეტად დამავალდებულებებია იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს.
- 21) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 37-ე წესი, აგრეთვე ეკროპის საბჭოს ციხეების შესახებ ეკროპული დებულების მე-43 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფების პატიმართა უფლებას ურთიერთობა იქონიონ მათ ოჯახებთან, არაკრიმინალ მეგობრებთან და გარეშე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გამომდინარე მნიშვნელობიდან, რომელიც ენიჭება ადამიანის ისეთ უფლებებს, როგორებიცაა აზრის გამოხატვის თავისუფლება და საკუთარი ენით სარგებლობა კერძო ურთიერთობებში თუ საჯაროდ, ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან პატივი სცენ ამ უფლებებს პენიტენციალურ დაწესებულებებშიც კი, კანონით

ოსლოს რეკომენდაციები

დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში. როგორც წესი, პატიმრებს უნდა შეეძლოთ საკუთარი ენით სარგებლობა როგორც ზეპირად – სხვა პატიმრებთან და მნახველებთან ურთიერთობაში – ისე პირად მიმოწერაში. ამის მიუხედავად, სისხლის სამართლის დანაშაულის გამო დაკავებული პირების ზოგი უფლება და თავისუფლება სამართლიანად შეიძლება შეიზღუდოს ან შეჩერდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოსაზრებით, ოღონდ იმ შეზღუდვების ფარგლებში, რომლებსაც საერთაშორისო აქტები აწესებს. პრაქტიკაში, დაკავებული პირების მიერ ენობრივი უფლებებით სარგებლობას ყველაზე მეტად ხელს შეუწყობს მათი განთავსება ისეთ ადგილებში, სადაც, ჩვეულებრივ, მათ ენაზე ლაპარაკობენ.